პროფესიული განათლება საქართველოში (2017-2021)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Research

გამოცემა #135 23.05.2022

ბოლო წლებში პროფესიული განათლების გაძლიერება საქართველოს განათლების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. შედეგად, რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა. მათ, შორის „პროფესიული უნარების სააგენტოს“ შექმნა, რომლის მთავარი მიზანია გაზარდოს კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის წესებში ცვლილებები, რომლის მიზანიც, განათლების ხარისხის გაუმჯობესებაა. ამასთან, შეიქმნა „2021-2025 პროფესიული განათლების სტრატეგია“, რომლის მიზნებიც მოიცავს ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდას, კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას პროფესიული უნარების განვითარების გზით და უწყვეტი განათლების შესაძლებლობის შექმნას[1]. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ საქართველოში პროფესიული განათლების ბოლო ხუთი წლის ტენდენციების მიმოხილვა.



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

2017 წლიდან 2021 წლამდე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 25%-ით შემცირდა და 94 დაწესებულება შეადგინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა 2020 წელთან შედარებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შემცირება კერძო დაწესებულებების კლებით იყო განპირობებული. კერძოდ, 2017 წლიდან 2021 წლამდე კერძო დაწესებულებების რაოდენობა 83-დან 52-მდე შემცირდა.

გასაკვირი არ არის, რომ გაანალიზებულ პერიოდში, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კლებასთან ერთად, პროფესიული განათლების პროგრამების საერთო რაოდენობაც შემცირდა (658-დან 449-მდე).

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის შემცირების გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს პროფესიული განათლების პროგრამების აკრედიტაციის პროცედურებში შეტანილი ცვლილებები. კერძოდ, 2018 წელს პროფესიული პროგრამები გადავიდა მოდულურ სისტემაზე და გაიზარდა საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობა (საშუალოდ 9 თვიდან 1.5 წლამდე)[2]. მრავალი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ცვლილებები დიდ გამოწვევას წარმოადგენდა, რადგან მათ არ შეეძლოთ სწავლების უფრო რთული მეთოდის დანერგვა. აღნიშნულმა ცვლილებებმა ერთი მხრივ შეამცირა სასწავლებლებისა და პროგრამების რაოდენობა, თუმცა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პროფესიული განათლების ხარისხის ზრდას ხელი შეუწყო.



წყარო: ემისი, საქსტატი

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროფესიული განათლებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო დანახარჯები მატულობს. 2017 წლიდან 2021 წლამდე ხარჯები 36 მილიონი ლარიდან 67 მილიონ ლარამდე გაიზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ გაანალიზებულ პერიოდში პროფესიულ განათლებაზე დანახარჯების ზრდა არ იყო თანმიმდევრული. მაგალითად, 2018 წლიდან 2019 წლამდე მაჩვენებელი გაიზარდა 29.7%-ით, 2020 წლიდან 2021 წლამდე 36.7%-ით, ხოლო 2017 წლიდან 2018 წლამდე და 2019 წლიდან 2020 წლამდე მხოლოდ 2%-ით.

პროფესიულ განათლებაზე დანახარჯების ზრდასთან ერთად გაიზარდა მისი წილიც განათლებისათვის განკუთვნილ მთლიან ხარჯებში. 2017 წლიდან 2021 წლამდე წილი 3.1%-დან 3.8%-მდე გაიზარდა. მიუხედავად აღნიშნული ზრდისა, პროფესიული განათლების წილი მცირე რჩება მთლიან საგანმანათლებლო ხარჯებში. უმაღლეს განათლებასთან შედარებით, სახელმწიფო დანახარჯები პროფესიულ განათლებაზე საგრძნობლად დაბალია. შედარებისთვის, გაანალიზებულ პერიოდში საშუალო წლიური სახელმწიფო დანახარჯები პროფესიული განათლებაზე იყო 47 მილიონი ლარი, რაც სამჯერ ნაკლებია უმაღლეს განათლებაზე გაწეულ ხარჯებთან შედარებით (149 მილიონი ლარი).



წყარო: ემისი, საქსტატი

გასაკვირი არ არის, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კლებამ გავლენა მოახდინა პროფესიულ პროგრამებზე დარეგისტრირებული[3] და ჩარიცხული[4] სტუდენტების სტატისტიკაზე. 2017 წლიდან 2020 წლამდე საგრძნობლად შემცირდა რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა - 21.9 ათასიდან 14.3 ათასამდე. თუმცა, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს მაჩვენებელი შესამჩნევად, 36%-ით, გაიზარდა და 19.5 ათასი შეადგინა. გაანალიზებულ პერიოდში ასევე, შემცირდა ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, 15.6 ათასიდან 11.2 ათასამდე. თუმცა, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, დადებითი ტენდენციები შეიმჩნეოდა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა 19%-ით გაიზარდა.

2020 წელს დარეგისტრირებული აპლიკანტებისა და ჩარიცხული სტუდენტების მკვეთრი კლება COVID-19 პანდემიასა და მისი გავრცელების შესაჩერებლად შემოღებულ რეგულაციებს შესაძლოა უკავშირდებოდეს. 2020 წლამდე პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე წელიწადში ორჯერ ცხადდებოდა მიღება, გაზაფხულსა და შემოდგომაზე, პანდემიის გავრცელების შემდეგ კი გაზაფხულზე მიღება შეჩერდა.

საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარობის შესაფასებლად საინტერესოა ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შედარება უმაღლესი განათლების საბაკალავრო პროგრამებზე მიღებული სტუდენტების რაოდენობასთან. მაშინ როცა გაანალიზებულ პერიოდში საშუალოდ წელიწადში 12 ათასი სტუდენტი ირიცხებოდა პროფესიული განათლების პროგრამებზე, აღნიშნული რიცხვი უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო პროგრამებზე საშუალოდ 31 ათასს შეადგენდა.

1. https://mes.gov.ge/uploads/files/2021.5.11%20VET%20strategy%20draft.pdf
2. პროფესიული სასწავლებლების შემცირება შესაძლოა ასევე გამონვეა პროფესიული სასწავლებლების ავტორიზაციის პროცედურებში შეტანილმა ცვლილებებმა. https://mes.gov.ge/uploads/files/2021.5.11%20VET%20strategy%20draft.pdf
3. პროფესიული განათლების პროგრამაზე დარეგისტრირებულად ითვლება ადამიანი, თუ მან განაცხადი გააკეთა და პროგრამაზე სწავლის სურვილი გამოთქვა, თუმცა შერჩევის პროცესი არ გაუვლია.
4. პროფესიული განათლების პროგრამაზე ჩარიცხულად ითვლება სტუდენტი, თუ ის პროგრამაზე დარეგისტრირდა და შერჩევის პროცედურები წარმატებით გაიარა.
*. დაგეგმილი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეგიონული განაწილება აჩვენებს, რომ პროფესიულ განათლებაზე წვდომა შედარებით არათანაბარია თბილისსა და სხვა რეგიონებს შორის. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისში არის (სასწავლებლების მთლიანი წილის 45% და ჩარიცხულ სტუდენტთა 38%), შემდეგ მოდის აჭარა (14% და 15%, შესაბამისად). ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში და მცხეთა-მთიანეთში, 4% ორივე კატეგორიაში, სამცხე-ჯავახეთში 3% საგანმანათლებლო დაწესებულებებში და 4% მიღებულ სტუდენტებში.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა (2021)						
რეგიონი	მოსახლეობა (ათასი)	%	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები	%	პროფესიულ განათლებაზე ჩარიცხული სტუდენტები	%
თბილისი	1,203	32%	42	45%	4,289	38%
იმერეთი	481	13%	9	10%	1,104	10%
ქვემო ქართლი	437	12%	6	6%	590	5%
აჭარა ა/რ	355	10%	13	14%	1,705	15%
კახეთი	310	8%	4	4%	707	6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	308	8%	6	6%	1,235	11%
შიდა ქართლი	254	7%	7	7%	665	6%
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა მთიანეთი	229	6%	4	4%	481	4%
სამცხე ჯავახეთი	151	4%	3	3%	428	4%
სულ	3,729	100%	94	100%	11,204	100%

წყარო: ემისი

გარდა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებს შორის პროფესიულ განათლებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობისა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განაწილება და პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა განსხვავდება რეგიონის მიხედვითაც. მაგალითად, კახეთში, სადაც 310 ათასი მოსახლეა, 4 საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს, 2021 წელს კი 707 სტუდენტი ჩაირიცხა. აჭარაში კი, სადაც 355 ათასი მოსახლეა, 13 დაწესებულებაა, ხოლო 2021 წელს 1,705 სტუდენტი ჩაირიცხა პროფესიული განათლების პროგრამებზე[5].

საქართველოში პროფესიული განათლების ხარისხის შესაფასებლად მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების მდგომარეობის შეფასება შრომის ბაზარზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პერიოდულად ატარებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევას, რათა შეაფასოს, თუ როგორ შეიცვალა პროფესიული განათლების სტუდენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა პროფესიული განათლების პროგრამის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ.



წყარო: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

კურსდამთავრებულთა კვლევის მონაცემებით, 2017 წლის კურსდამთავრებულთა 60% იყო დასაქმებული, 32% უმუშევარი, 1% სტაჟიორი და 11%-მა გააგრძელა განათლების მიღება. 2017 წლის კურსდამთავრებულებთან შედარებით, 2018 წლის კურსდამთავრებულების მაჩვენებლები შესამჩნევად არ შეცვლილა. თუმცა დასაქმებულ კურსდამთავრებულთა წილი 3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 63% შეადგინა. 2020 წელს, COVID-19 კრიზისის გამო, 2019 წლის კურსდამთავრებულებს შორის დასაქმება, 2018 წლის კურსდამთავრებულებთან შედარებით, 13 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 50% შეადგინა, ხოლო უმუშევართა წილი 31%-დან 45%-მდე გაიზარდა.

საქართველოს შრომის ბაზარზე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლების მიუხედავად, არსებითია იმის შეფასება თუ კურსდამთავრებულთა რა ნაწილმა დაიწყო მუშაობა თავისი პროფესიით. კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, 2017 წლის კურსდამთავრებულებს შორის დაქირავებით დასაქმებულებში მხოლოდ 42% იყო დასაქმებული იმ პროფესიით, რომლებიც მათ მიიღეს. 2018 წლის კურსდამთავრებულებს შორის ეს მაჩვენებელი 47%-მდე გაიზარდა, ხოლო 2019 წლის კურსდამთავრებულებისთვის 45%-მდე შემცირდა.

პროფესიული განათლების რეფორმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი 2019 წელს პროფესიული განათლების სისტემაში ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების პროგრამების დანერგვა იყო. მომზადება-გადამზადების პროგრამების მიზანია მოკლევადიანი კურსების უზრუნველყოფა იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ პროფესიული გადამზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად[6].

2021 წელს 64 დაწესებულება ახორციელებდა მომზადება-გადამზადების 255 პროგრამას. 2019 წლიდან 2021 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა მომზადება-გადამზადების პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა - 763-დან 4,062-მდე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს კვოტა 6,548 სტუდენტზე იყო გამოყოფილი და 2,486 ადგილი დარჩა შეუვსებელი. ასევე, 2021 წელს 255 ხელმისაწვდომი პროგრამიდან 66 პროგრამაზე არც ერთი სტუდენტი არ სწავლობდა.

მომზადება-გადამზადების პროგრამები (2021)						
რეგიონი	მომზადება-გადამზადების პროგრამების მომწოდებლების რაოდენობა	%	მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა	%	ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა	%
თბილისი	31	48%	108	42%	2,337	58%
იმერეთი	5	8%	16	6%	196	5%
ქვემო ქართლი	4	6%	12	5%	171	4%
აჭარა ა/რ	4	6%	35	14%	338	8%
კახეთი	4	6%	23	9%	301	7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6	9%	26	10%	396	10%
შიდა ქართლი	3	5%	8	3%	80	2%
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა მთიანეთი	5	8%	16	6%	177	4%
სამცხე ჯავახეთი	2	3%	11	4%	66	2%
სულ	64	100%	255	100%	4,062	100%

წყარო: ემისი

აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამების მსგავსად, მომზადება-გადამზადების პროგრამების შემთხვევაშიც, შედარებით არათანაბარი განაწილებაა თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის. მაგალითად, პროგრამის მიმწოდებელთა 48%, პროგრამების 42% და სტუდენტების 58% თბილისშია თავმოყრილი.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ პროფესიული განათლება პრიორიტეტულ სფეროდ გამოყო, პროფესიული განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა: შეიქმნა „პროფესიული უნარების სააგენტო"; დაინერგა მომზადება-გადამზადების პროგრამები; გამკაცრდა პროფესიული განათლების პროგრამების აკრედიტაცია; განახლდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები; გაიზარდა სახელმწიფო დანახარჯები პროფესიული განათლებაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ განათლებაზე დანახარჯები განათლების მთლიან დანახარჯებში რჩება დაბალი, ასევე 2017 წლიდან 2021 წლამდე შემცირდა პროფესიული სასწავლებლებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა. ამავდროულად, ავტორიზაციის ახალი სტანდარტები პროფესიულ სასწავლებლებს გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს და საჭიროს ხდის სასწავლებლების მართვის ხარისხის გაზრდას. გარდა ამისა, კურსდამთავრებულთა კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს შორის დასაქმება შედარებით მაღალია საქართველოში შრომის ბაზარზე არსებულ ვითარებასთან შედარებით, თუმცა დასაქმებული პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ დასაქმდა იმ პროფესიით, რომელიც მათ მიიღეს.

5. მისასალმებელია, რომ ბოლო წლებში რეგიონებში აქტიურად ხორციელდება პროფესიული სასწავლებლების ამენება/რეაბილიტაცია
6. https://mes.gov.ge/uploads/files/2021.5.11%20VET%20strategy%20draft.pdf

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2017	2018	2019	2020	2021
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	15 141.7*	17 596.6*	17 470.7*	15 888.1*	18 700.1*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 062.1*	4 722.0*	4 696.2*	4 274.6*	5 015.3*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	2.9%	4.8%	5.0%	-6.2%*	10.4*
ინფლაცია	2.1%	2.6%	4.9%	5.2%	11.8%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 652.6	1 317.1	1 335.8*	572.0	1 152.8*
უმუშევრობის დონე (%)	21.7%	19.2%	17.6%	18.5%	20.6%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4 516	5 434	5 741	7 535	7 956
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.0%	20.5%	20.1%	19.7%	-

*წინასწარი

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის", ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

- პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;
- რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

სოფო ბასილიძე
მკვლევარი
s.basilidze@pmcginternational.com

ნიკოლოზ ბაქრაძე
უმცროსი მკვლევარი
n.bakradze@pmcginternational.com